ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018–2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა

UN WOMEN
United Nations Entity for Gender Equality and the Empowerment of Women

სამოქმედო გეგმა მომზადდა გაეროს ქალთა
ორგანიზაციის ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით.

ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018–2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა

ქ. თბილისი
2018

წინასიტყვაობა

ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა გლობალური დღის წესრიგის შესრულებისთვის საჭირო, კონსოლიდირებული და კოორდინირებული ქმედების სახელმწიფო ინსტრუმენტს წარმოადგენს. ამავდროულად, ის საქართველოს მთავრობის იმ ვალდებულებების ნაწილია, რომლებიც მან ადამიანის უფლებების დაცვის, გენდერული თანასწორობის დამკვიდრების, ქალთა გაძლიერების, კონფლიქტების პრევენციის, მათი მოგვარებისა და მშვიდობის დამყარების თვალსაზრისით იკისრა. 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა ჰარმონიზებულია საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმასთან და შესაბამისობაშია მდგრადი განვითარების მეხუთე მიზნის ამოცანებთან.

ეროვნული სამოქმედო გეგმა უსაფრთხოების სექტორსა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში გენდერული საკითხების ჩართვასთან დაკავშირებით მთავრობის ერთიან მიდგომას წარმოადგენს. აღნიშნული მიდგომა სამშვიდობო მოლაპარაკებებში გენდერული პერსპექტივის გამოყენებას, ქალებისა და გოგოების უფლებების დაცვასა და, კონფლიქტების პრევენციასა თუ მოგვარებაში მათი მონაწილეობის ხელშეწყობას გულისხმობს. 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობა წამყვანმა და თანამშრომლობის პროცესში ჩართულმა უწყებებმა უკვე დაამტკიცეს. ამჟამად აღნიშნული უწყებების შიდა სამოქმედო გეგმებში ამ საქმიანობის დეტალური განსაზღვრა მიმდინარეობს. წამყვან და თანამშრომლობის პროცესში ჩართულ უწყებებს სამინისტროები და სამთავრობო დაწესებულებები წარმოადგენენ, სამოქალაქო საზოგადოება და განვითარების მხარდამჭერი პარტნიორები კი მნიშვნელოვან როლს დამხმარე მხარეების რანგში შეასრულებენ. თანამშრომლობაში ჩართული იქნა ადგილობრივი ხელისუფლებაც, რომელიც ეროვნული სამოქმედო გეგმით დასახული მიზნების მისაღწევად საკუთარი კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში იმუშავებს.

სამოქმედო გეგმის შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო წინა ეროვნული სამოქმედო გეგმების განხორციელებისას მიღებულ გამოცდილებას, სახალხო დამცველისა და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული მონიტორინგის ანგარიშებში ასახულ დასკვნებს, ასევე, ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის, შესაბამისი სპეციალური პროცედურებისა და უნივერსალური პერიოდული განხილვის ფარგლებში მოწოდებულ რეკომენდაციებს. ეროვნულ სამოქმედო გეგმაში აისახა ევროკავშირისა და ნატოს ის ნორმებიც, რომლებიც ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებთანაა დაკავშირებული.

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხების დღის წესრიგს საქართველოს მთავრობა 2011 წლიდან ახორციელებს. იმ წელს საქართველომ ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე გაეროს უშიშროების საბჭოს №1325 (2000) და შემდგომი რეზოლუციების განსახორციელებელი პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმა შეიმუშავა. მეორე ეროვნული სამოქმედო გეგმის (2016-2017) შექმნის შემდეგ მთავრობამ გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სამთავრობო უწყებათაშორისი კომისია (შემდგომში - „კომისია“) ჩამოაყალიბა. კომისია წარმოადგენს ანგარიშვალდებულ მექანიზმს გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავების კოორდინირების, მათი შესრულების დაჩქარებისა და მონიტორინგისთვის. შესაბამისად, მესამე ეროვნული სამოქმედო გეგმის (2018-2020) შემუშავების პროცესში მუნიციპალიტეტების, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან კოორდინირებას უწევდა კომისია, რომელიც აერთიანებს მინისტრების მოადგილეებსა და გენდერზე პასუხისმგებელ პირებს შესაბამისი სამინისტროებიდან, ასევე, თემატური საკონსულტაციო სამუშაო ჯგუფიდან.

საქართველოში 300,000-მდე დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული პირია. მათ შორის ნახევარზე მეტი ქალები და გოგოები არიან. ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში საბოლოო ბენეფიციარების ჩართვის მიზნით, 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა როგორც მთავრობასთან, ისე სამოქალაქო საზოგადოებასთან, მათ შორის ქალთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ადგილობრივ ქალთა ორგანიზაციებთან, დევნილ და კონფლიქტით დაზარალებულ ქალებთან პარტნიორობით შემუშავდა. კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის პრიორიტეტებისა და ტენდენციების უკეთესად დადგენის მიზნით, აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან/ცხინვალის რეგიონთან, ადმინისტრაციული გამყოფი ხაზების მახლობლად მდებარე სოფლებში ვიზიტები განხორციელდა. შედეგად, ეროვნული სამოქმედო გეგმის სტრატეგიულ სფეროებში გაერთიანებული აქტივობები თითოეული სოციალური ფენის, ასაკის, ეთნიკური წარმომავლობის, შეზღუდული შესაძლებლობის, ნებისმიერ ადგილას (ქალაქში თუ სოფლად) მცხოვრები ქალებისა და გოგოების საჭიროებებსა და უფლებებს ითვალისწინებს. გენდერული ძალადობის თავიდან აცილებისა და გრძელვადიან პერსპექტივაში კონფლიქტის მოგვარების მცდელობებზე პოზიტიური ზეგავლენის მოხდენის მიზნით, გამოიკვეთა ბიჭებთან და ზოგადად ახალგაზრდებთან მუშაობის საჭიროებაც. რადგანაც ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება მხოლოდ მოსახლეობის დონეზეა შესაძლებელი, ეროვნული სამოქმედო გეგმის ლოკალიზაცია (ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით შემუშავება) ერთ-ერთი ის მნიშვნელოვანი ასპექტი იყო, რომელზეც ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში კომისია ყურადღებას ამახვილებდა.

გეგმის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული სამუშაო შეხვედრის (რომელშიც სხვადასხვა სამინისტროს გენდერულ საკითხებზე 25-მა პასუხისმგებელმა პირმა მიიღო მონაწილეობა) შემდეგ რამდენიმე ეტაპად ფართო კონსულტაციები საზოგადოებასთან ჩატარდა, რითაც ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი დასრულდა. სამოქალაქო საზოგადოებამ ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა და იგი გეგმის განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესებშიც იქნება ჩართული.

რადგანაც კომისია უკვე არსებობს, მთავრობას 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასებისადმი კიდევ უფრო სტრატეგიული მიდგომის დამკვიდრების შესაძლებლობა აქვს. რეგულარულად მოხდება ეროვნული სამოქმედო გეგმის შეფასება და განხილვა, თუ როგორ მიმდინარეობს ეროვნული სამოქმედო გეგმის სტრატეგიული შედეგების მიღწევის პროცესები, გამოწვევებთან გამკლავება, კარგი პრაქტიკის გათვალისწინება და გაფართოება. შეფასების შედეგების მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, ეროვნული სამოქმედო გეგმის გაუმჯობესების მიზნით, ცვლილებათა პაკეტი მომზადდება, რომელიც დასამტკიცებლად საქართველოს პარლამენტს წარედგინება.

სოფიო ჯაფარიძე
ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის თანაშემწე
გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სამთავრობო
უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე

ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018–2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა

საქართველოს მთავრობის დადგენილება N173, 2018 წლის 10 აპრილი

მუხლი 1
დემოკრატიის, მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით, საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებული პრინციპების განსამტკიცებლად, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ჰ1“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2018-2020 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა (შემდგომში – ეროვნული სამოქმედო გეგმა).

მუხლი 2
1. სახელმწიფო უწყებებმა/დაწესებულებებმა უზრუნველყონ ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულება, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.
2. ეთხოვოთ ეროვნულ სამოქმედო გეგმაში ჩართულ სხვა უწყებებს კოორდინირებული თანამშრომლობა ეროვნული სამოქმედო გეგმის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის.

მუხლი 3
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი
გიორგი კვირიკაშვილი

მოქმედების სფერო I: მონაწილეობა - ქალთა გაზრდილი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე

მიზანი 1: ქალთა გაზრდილი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიმღებ დონეზე უსაფრთხოების სექტორში და სამშვიდობო მოლაპარაკებებში					
ამოცანა	**ამოცანის ინდიკატორი**	**საქმიანობა**	**პასუხისმგებელი უწყება**	**პარტნიორი უწყება**	**შესრულების ვადა**
1.1. უსაფრთხოების სექტორში ქალთა კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით შემუშავებულია შესაბამისი პოლიტიკა და ფუნქციონირებს ადამიანური რესურსების მართვის სისტემა, რომელიც დაფუძნებულია სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების ანალიზზე	1.1.ა: ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტების არსებობა გენდერული პერსპექტივების გათვალისწინებით **ბაზისი:** თავდაცვის სამინისტრო - რიგი დოკუმენტები გენდერულად მგრძნობიარეა შინაგან საქმეთა სამინისტრო - არ აქვს **მიზანი:** გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკისა და სტრატეგიული დოკუმენტების არსებობა **წყარო:** თავდაცვის სამინისტროს და შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანური რესურსების დეპარტამენტები 1.1.ბ: ადამიანური რესურსების პოლიტიკისა და სტრატეგიის რეგულარული მონიტორინგის და შეფასების სისტემის არსებობა **ბაზისი**: არ არსებობს **მიზანი:** ეფექტიანი მონიტორინგისა და შეფასების სისტემის არსებობა და ყოველწლიური მონიტორინგი **წყარო:** თავდაცვის სამინისტრო და შინაგან საქმეთა სამინისტრო	1.1.1. სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის სისტემის შექმნა	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო		2018
		1.1.2. სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების წარმოება, ანალიზი და პროცენტული მაჩვენებლის გასაჯაროება (პროცენტული რაოდენობა, რანგი, პოზიცია)	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო		2018
		1.1.3. სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე საკადრო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ქალებისა და კაცების კარიერული განვითარების თანაბარ შესაძლებლობებს	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო		2018-2019
		1.1.4. კარიერული განვითარებისთვის შექმნილ პროგრამებში ქალებისა და კაცების თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფა	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო		2018-2019-2020
		1.1.5. უსაფრთხოების სექტორის უწყებებისთვის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განმსაზღვრელი შიდა დოკუმენტების მომზადება, განახლება და დამტკიცება	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო		2018-2019-2020

	1.1.გ: უსაფრთხოების სექტორში (სამოქალაქო და შეიარაღებულ ძალებში) სქესის ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების არსებობა და ხელმისაწვდომობა **ბაზისი:** არ არსებობს **მიზანი:** სქესის ნიშნით სეგრეგირებულ მონაცემთა ანალიზის სისტემის შექმნა და მონაცემთა პროცენტული მაჩვენებლის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა **წყარო:** თავდაცვის სამინისტრო და შინაგან საქმეთა სამინისტრო; 1.1.დ: გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე ქალთა პროცენტული რაოდენობა კაცებთან თანაფარდობით **ბაზისი:** თავდაცვის სამინისტრო - 32% შინაგან საქმეთა სამინისტრო - 3% **მიზანი:** მონაცემების სულ მცირე შენარჩუნება **წყარო:** თავდაცვის სამინისტრო და შინაგან საქმეთა სამინისტრო	1.1.6. უსაფრთხოების სექტორის უწყებების თანამშრომლებს შორის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების და კოორდინაციის მიზნით რეგულარული შეხვედრების ჩატარება	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო		2018-2019-2020
1.2. სამშვიდობო მოლაპარაკებებში ქალთა მონაწილეობის ზრდა ხელშეწყობილია	1.2.ა: ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში და ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმში მონაწილე ქალთა პროცენტული მაჩვენებელი **ბაზისი:** ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში 2017 წელს - 40% ქალი; ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმში- 33% ქალი **მიზანი:** 2020 წლისთვის იგივე ან უფრო მაღალი მაჩვენებელი **წყარო:** ინსტიტუტიციები, რომლებიც ჩართულია მოლაპარაკებების ფორმატებში	1.2.1. სსიპ - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიურ სასწავლო ცენტრში ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ტრენინგის ჩატარება	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	2018-2019-2020

	1.2.ბ: გადამზადებული ქალების რაოდენობა **ბაზისი:** 20 **მიზანი:** 2020 წლისთვის იგივე ან უფრო მაღალი მაჩვენებელი **წყარო:** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი; საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	1.2.2. დიპლომატიურ წარმომადგენლობებში სამხედრო ატაშის პოზიციებზე ქალთა წარმომადგენლობის გაზრდის ხელშეწყობა	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	2018-2019-2020
1.3. მშვიდობის მშენებლობის პროცესში დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების, ახალგაზრდების და ქალთა ორგანიზაციების ჩართულობა გაზრდილია და სახალხო დიპლომატიის ინიციატივები მხარდაჭერილია	1.3.ა: ქალთა ორგანიზაციების მიერ განხორციელებული სახალხო დიპლომატიის ინიციატივების პროცენტული მაჩვენებელი **ბაზისი:** 2017 წელი - 20% **მიზანი:** 2020 წელს 20%-იანი ზრდა **წყარო:** შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	1.3.1. სამშვიდობო/ნდობის მშენებლობის ინიციატივებში ქალებისა და ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდის მიზნით დონორ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან კომუნიკაციის/ თანამშრომლობის გაძლიერება	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი		2018-2019-2020
		1.3.2. ქალთა ორგანიზაციების ხელშეწყობა სახალხო დიპლომატიის ინიციატივების განსახორციელებლად	გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია		2018-2019-2020
		1.3.3. განხორციელებული სამშვიდობო პროექტების შესახებ, გენდერულ ჭრილში, ინფორმაციის მომზადება და წლიურ ანგარიშში ინტეგრირება	გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია		2018-2019-2020
		1.3.4. ლიდერობის ტრენინგები დევნილი, კონფლიქტის შედეგად დაზარალებული და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ქალებისთვის და ახალგაზრდებისთვის	გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო შერიგებისა და სამოქა-ლაქო თანასწორობის საკითხებში საქართვე-ლოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი მუნიციპალიტეტები	2018-2019-2020

მიზანი 2: დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების გაზრდილი მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში კონფლიქტების პრევენციის, მართვისა და გადაჭრის საკითხებზე					
ამოცანა	**ამოცანის ინდიკატორი**	**საქმიანობა**	**პასუხისმგებელი უწყება**	**პარტნიორი უწყება**	**შესრულების ვადა**
2.1. შესაბამისი პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების პროცესში დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების პრიორიტეტული საკითხები განხილული და გათვალისწინებულია	2.1.ა: ქალებთან, ახალგაზრდებთან და ქალთა გაძლიერების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრების გეოგრაფიული არეალი და რაოდენობა, რომლებიც მათი პოლიტიკის შემუშავებისა და მიზნობრივი პროგრამების დაგეგმვის პროცესში ჩართულობას უზრუნველყოფს **ბაზისი:** არ არსებობს **მიზანი:** წლის განმავლობაში მინიმუმ სამი შეხვედრა **წყარო:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო;	2.1.1. რეგულარული დიალოგის მექანიზმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს დევნილი ქალების და ახალგაზრდების ჩართულობას პოლიტიკის განსაზღვრის პოცესებში, კერძოდ კი სტატუსის განსაზღვრის, საარსებო წყაროებისა და განსახლების პოლიტიკის რეფორმის პროცესში	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საქართველოს პარლამენტი	2018-2019-2020
	2.1.ბ: პოლიტიკის დოკუმენტებსა და მიზნობრივ პროგრამებში ქალებისა და გოგოების მიერ დასმული პრიორიტეტული საკითხების გათვალისწინების პროცენტული მაჩვენებელი **ბაზისი:** განისაზღვრება 2018 წ.-ს **მიზანი:** განისაზღვრება 2018 წ.-ს **წყარო:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო; გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია; მუნიციპალიტეტები;	2.1.2. რეგულარული დიალოგის მექანიზმის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს კონფლიქტით დაზარლებული ქალების და ახალგაზრდების ჩართულობას გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მიზნობრივი პროგრამების დაგეგმვის პროცესში	გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მუნიციპალიტეტები	2018-2019-2020

2.2. მოლაპარაკებების პროცესში დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა საჭიროებები, პრიორიტეტები და რეკომენდაციები განხილული და გათვალისწინებულია	2.2.ა: მოლაპარაკებების პროცესში, შეხვედრების ფორმატის და მუშაობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ქალთა პრიორიტეტების და ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინების პროცენტული მაჩვენებელი **ბაზისი:** 2017 წელი - 70% **მიზანი:** 2020 წლისთვის იგივე ან უფრო მაღალი მაჩვენებელი **წყარო:** ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებისა და ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის შეხვედრების ოქმები	2.2.1. ინფორმაციის გაცვლისა და ქალთა პრიორიტეტებისა და საჭიროებების მოლაპარაკებებში გათვალისწინების მიზნით, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკების მონაწილეებსა და სამოქალაქო საზოგადოებას, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ქალთა უფლებების დამცველთა, იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალთა მონაწილეობით, რეგულარული დიალოგის მექანიზმის გაძლიერება	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო; სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	2018 (კვარტალი: II, IV კვარტალი); 2019- 2020
		2.2.2. ქალთა პრიორიტეტებისა და საჭიროებებზე ეფექტიანი რეაგირების მიზნით ინციდენტების პრევენციისა და რეაგირების მექანიზმის მონაწილეებსა და სამოქალაქო საზოგადოებას, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციების, ქალთა უფლებების დამცველთა, იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტისშედეგად დაზარალებულ ქალთა მონაწილეობით, რეგულარული დიალოგის მექანიზმის გაძლიერება	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	2018 (კვარტალი: I , II, III); 2019- 2020

მიზანი 3: ქალებზე და გოგოებზე ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის და ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სხვა რისკების პრევენცია					
ამოცანა	**ამოცანის ინდიკატორი**	**საქმიანობა**	**პასუხისმგებელი უწყება**	**პარტნიორი უწყება**	**შესრულების ვადა**
3.1. დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგოების ადამიანური უსაფრთხოება გაზრდილია	3.1.ა: დაკავებული ქალების რაოდენობა და თანაფარდობა კაცებთან გამყოფი ხაზის ე.წ. "უკანონო" კვეთისას **ბაზისი:** განისაზღვრება 2018 წ.-ს **მიზანი:** განისაზღვრება 2018 წ.-ს **წყარო:** სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური 3.1.ბ: გენდერულად მგრძნობიარე ადრეული გაფრთხილების სისტემის ნორმატიული დოკუმენტების არსებობა **ბაზისი:** არ არსებობს **მიზანი**: გენდერულად მგრძნობიარე ადრეული გაფრთხილების სისტემის ნორმატიული დოკუმენტების არსებობა **წყარო:** საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	3.1.1. საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრებ კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან და მათ ოჯახის წევრებთან სექსუალური ან სხვა გენდერული ნიშანით ჩადენილ ძალადობასადა უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებზე (როგორიცაა ტრეფიკინგი, ომის ნარჩენები, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვადა უკანონო დაკავების საფრთხეები), ასევე სექსუალური ძალადობის მხსვერპლთათვის (დაზარალებულთათვის) სახელმწიფო სერვისების შესახებ	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	2018 (კვარტალი: II, III); 2019- 2020
		3.1.2. წლიურად არანაკლებ 5 საკონსულტაციო/საინფორმრაციო შეხვედრის ორგანიზება დევნილი, კონფლიქტით დაზარალებული ქალებისთვის და გოგოებისთვის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების, კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის შესახებ	იურიდიული დახმარების სამსახური	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	2018-2019-2020
		3.1.3. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის, განსაკუთრებით ქალების და ახალგაზრდების საჭიროებების შესწავლა/ ინფორმაციის განახლება	გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მუნიციპალიტეტები	2018-2019-2020

		3.1.4. დევნილთა ჩასახლებებსა და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ოჯახის დაგეგმვის სერვისებზე და კონტრაცეფციის მეთოდების შესახებ ინფორმაციაზე წვდომის უზრუნველყოფა	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო		2018-2019-2020
		3.1.5. ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაში სამშვიდობო განათლების, სამოქალაქო თავდაცვის, უსაფრთხოებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის #1325 პრინციპების ინტეგრირება	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	2019
		3.1.6. საპილოტე რეგიონებში გენდერულად მგრძნობიარე ადრეული გაფრთხილების სისტემის ნორმატიული დოკუმენტების შემუშავება	საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია მუნიციპალიტეტები	2020
		3.1.7. კონფლიქტის დროს სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა (დაზარალებულთა) რეაბილიტაციის კონცეფციის შემუშავება	გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია		2020

3.2. უსაფრთხოების სექტორის, სპეციალური ქვედანაყოფების, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის, სამშვიდობო, სამართალდამცავი და იურიდიული დახმარების სამსახურის პერსონალის შესაძლებლობები, სექსუალური და გენდერულინიშნით ძალადობის პრევენციისადა შესაბამის რეაგირებაზე, მათ შორის კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში, გაზრდილია	3.2.ა: სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციასა და რეაგირების საკითხებზე გადამზადებულ უსაფრთხოების სექტორის, სპეციალური ქვედანაყოფების (მათ შორის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი, კრიმინალური პოლიცია), სამშვიდობო ძალების მოსამსახურეების და იურიდიული დახმარების სამსახურის პერსონალის პროცენტული მაჩვენებელი **ბაზისი:** განისაზღვრება 2018 წ.-ს **მიზანი:** განისაზღვრება 2018 წ.-ს **წყარო:** თავდაცვის სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; იურიდიული დახმარების სამსახური 3.2.ბ: სამხედრო დანაყოფებსა და სამშვიდობო ოპერაციებში გენდერული მრჩევლების რაოდენობა **ბაზისი:** განისაზღვრება 2018 წ.-ს **მიზანი:** განისაზღვრება 2018 წ.-ს **წყარო:** თავდაცვის სამინისტრო	3.2.1. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პოლიტიკის გატარება, რომელიც უზრუნველყოფს შეიარაღებულ ძალებსა და სპეციალურ ქვედანაყოფებში (მათ შორის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი, და კრიმინალური პოლიცია) სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის ფაქტების პრევენციასა და მათზე ეფექტურ რეაგირებას	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო; საქართველოს თავდაცვის სამინისტრო		2018-2019-2020
		3.2.2. უსაფრთხოების სექტორის თანამშრომელთათვის სავალდებულო ტრეინინგების შემოღება ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების პრინციპების შესახებ, სპეციალური ფოკუსით სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციისა და შესაბამისი რეაგირების, მათ შორის კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია	2018
		3.2.3. სამშვიდობო ოპერაციებში გადასროლის წინა სავალდებულო ტრენინგების გაუმჯობესება ქალებზე მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის შესახებ, სპეციალური ფოკუსით სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის პრევენციისა და შესაბამისი რეაგირების, მათ შორის კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ სიტუაციებში	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო		2018-2019-2020

	3.2.გ: კონფლიქტთან დაკავშირებული გენდერული ძალადობის და სექსუალური ძალადობის პრევენციის დოკუმენტებისა და პოლიტიკის ინტეგრირება ოპერაციებში **ბაზისი:** განისაზღვრება 2018 წელს **მიზანი:** განისაზღვრება 2018 წელს **წყარო:** თავდაცვის სამინისტრო 3.2.დ: სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ფაქტებზე გადაწყვეტილებების აღსრულების პროცენტული რაოდენობა **ბაზისი**: განისაზღვრება 2018 წელს **მიზანი:** განისაზღვრება 2018 წელს	3.2.4. სამშვიდობო ოპერაციებში გადასროლის წინა სავალდებულო ტრენინგებისათვის ქალებზე მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის შესახებ მოდულის შემუშავება და დამტკიცება	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო		2018
		3.2.5. ეროვნული თავდაცვის აკადემიის ბაკალავრიატის იუნკერებისთვის ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე სასწავლო მოდულის შემუშავება და დამტკიცება	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია	2018
		3.2.6. ოჯახში ძალადობის საკითხების ინტეგრირება გადასროლის წინა მომზადების და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის პროცესებში	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო		2018-2019-2020
		3.2.7. გაეროს უშიშროების საბჭოს ქალებზე მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე რეზოლუციების შესახებ სწავლებების განხორციელება სამხედრო საკარიერო კურსებსა და თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის პროფესიული განვითარების კურსებში	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო		2018-2019-2020
		3.2.8. გენდერული ძალადობის გასაჩივრების და რეაგირების ეფექტიანი მექანიზმების დანერგვა და გაუმჯობესება	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო		2018
		3.2.9. გენდერული მრჩევლების ფუნქციების განსაზღვრა და სამუშაო აღწერილობის დამტკიცება	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო		2018

		3.2.10. მიზნობრივი ტრენინგების ჩატარების უზრუნველყოფა შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ქვედანაყოფისათვის, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ოფიცრებისთვის, გაეროს უშიშროების საბჭოს #1325 და შემდგომი რეზოლუციების შესახებ სპეციალური ფოკუსით სექსუალური და გენდერული ნიშნით ძალადობის, პრევენციასა და რეაგირებაზე და მოსახლეობასთან კომუნიკაციის საკითხებზე	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო		2018-2019-2020
		3.2.11. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, სპეციალურ ქვედანაყოფებსა და მოსახლეობას შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო		2018-2019-2020
		3.2.12. პროკურატურის თანამშრომლებისათვის ტრენინგის ჩატარება „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე” გაეროს რეზოლუციების შესახებ	საქართველოს მთავარი პროკურატურა		2018-2019-2020
		3.2.13. იურიდიული დახმარების სამსახურისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს იურისტების გადამზადება ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოების საკითხებში	იურიდიული დახმარების სამსახური საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო		2018

მოქმედების სფერო III : დაცვა

მიზანი 4: ქალებისა და გოგოების უსაფრთხოება, საჯარო სერვისებზე წვდომა, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანრმრთელობა უზრუნველყოფილია					
ამოცანა	**ამოცანის ინდიკატორი**	**საქმიანობა**	**პასუხისმგებელი უწყება**	**პარტნიორი უწყება**	**შესრულების ვადა**
4.1. დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოებისთვის შექმნილია და ფუნქციონირებს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისა და უფასო იურიდიული მომსახურების სისტემა	4.1.ა: ქალთა პროცენტული რაოდენობის ზრდა (კაცებთან თანაფარდობით), რომლებმაც ისარგებლეს სახელმწიფოს უფასო იურიდიული მომსახურებით **ბაზისი:** 2017 წელს იურიდიული კონსულტაცია და იურიდიული დახმარება გაეწია 1276 დევნილს - საერთო კონსულტაციების და საქმეების 5%. ქალი - 676 კაცი, 600 ქალი. **მიზანი:** 2020 წლისათვის მაჩვენებლის ზრდა 10%-ით (ქალი 6%; კაცი 4%) **წყარო:** იურიდიული დახმარების სამსახური; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	4.1.1. წლიურად არანაკლებ იურიდიული დახმარების სამსახურის 15 უფასო საკონსულტაციო შეხვედრის ორგანიზება დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და გოგოებისათვის, მათ შორის საკუთრების რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე	იურიდიული დახმარების სამსახური	„საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო საქათველოს იუსტიციის სამინისტრო”	2018-2019-2020
		4.1.2. იურიდიული დახმარების რეგულარული მიწოდება დევნილი ქალებისა და გოგოებისათვის და მათი ოჯახის წევრებისათვის	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო		2018-2019-2020
4.2. დევნილ, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ქალებს და გოგოებს აქვთ შესაბამისი ხელმისაწვდომობა საჯარო სერვისებზე	4.2.ა: სახელმწიფო სერვისებით მოსარგებლე ქალების პროცენტული მაჩვენებელი კაცებთან თანაფარდობით; **ბაზისი:** განისაზღვრება 2018 წელს **მიზანი:** განისაზღვრება 2018 წელს **წყარო:** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	4.2.1. სამეგრელოში, იმერეთში და შიდა ქართლის რეგიონებში იძულებით გადაადგილებული ქალებისა და გოგოების საჭიროებების განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით „ერთი ფანჯრის“ პრინციპით შეხვედრების ორგანიზება (წლის განმავლობაში მინიმუმ სამჯერ)	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო		2018-2019-2020

	4.2.ბ: გაწეული სერვისების მოცულობა და გეოგრაფიული არეალი **ბაზისი:** განისაზღვრება 2018 წელს **მიზანი:** განისაზღვრება 2018 წელს **წყარო:** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	4.2.2. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა ჯანდაცვის სერვისების წვდომაზე	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	2020
		4.2.3. ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო კონცეფციისა და სამოქმედო გეგმის განახლება დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის, განსაკუთრებულად ქალების და გოგოების, საჭიროებების გათვალისწინებით	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია მუნიციპალიტეტები	2020
	4.2.გ: სოციალური და ჯანდაცვის სერვისებზე ინფორმირებული დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების პროცენტული მაჩვენებელი **ბაზისი:** განისაზღვრება 2018 წელს **მიზანი:** განისაზღვრება 2018 წელს **წყარო:** საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია	4.2.4. ქალთა არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციების ბაზის შექმნა; ორგანიზაციების წარმომადგენლებთან პერიოდული შეხვედრების ორგანიზება ჯანდაცვისა და სოციალური საჭიროებების განსაზღვრის მიზნით	გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია	მუნიციპალიტეტები	2018-2019-2020
		4.2.5. სქესის და ასაკის მიხედვით სეგრეგირებული მონაცემები გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის განათლების, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შესახებ	სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური		2018 (კვარტალი II)

მიზანი 5: სოციალურ-ეკონომიკურად გაძლიერებული დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალები, გოგოები და მათი ოჯახის წევრები					
ამოცანა	**ამოცანის ინდიკატორი**	**საქმიანობა**	**პასუხისმგებელი უწყება**	**პარტნიორი უწყება**	**შესრულების ვადა**
5.1. დევნილ, კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ქალებისა და ახალგაზრდების ეკონომიკური გაძლიერებისთვის საგანმანათლებლო, სამეურნეო და სხვა სახის პროგრამები ხელმისაწვდომია და ჩართულობა გაზრდილია	5.1.ა: დევნილი ქალებისა და გოგოების პროცენტული რაოდენობა რომლებიც სარგებლობენ პროფესიული განათლების, გადამზადებისა და მეწარმეობის განვითარების პროგრამებით **ბაზისი:** პოლიტიკის არსებობა გენდერული პერსპექტივების გათვალისწინებით **მიზანი:** მინიმუმ 40% **წყარო:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო; 5.1.ბ: ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის პროგრამებში დევნილი ქალებისა და გოგოების ჩართულობის პროცენტული რაოდენობა **ბაზისი:** 40% **მიზანი:** საბაზისო 40% პროცენტის სულ მცირე შენარჩუნება **წყარო:** საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	5.1.1. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდების უმაღლესი განათლების ფინანსური მხარდაჭერა	გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	2018-2019-2020
		5.1.2. დევნილი ქალების და ახალგაზრდების სახელოვნებო-შემოქმედებით პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვა	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; მუნიციპალიტეტები რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	2019-2020
		5.1.3. დევნილი ქალებისა და გოგოების სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვის ხელშეწყობა	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო		2018-2019-2020
		5.1.4. სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული საჭიროების მქონე დევნილი ქალებისა და გოგოების ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო		2018-2019-2020

	5.1.გ: ეკონომიკურ/ სოფლის მეურნეობის საგრანტო პროგრამებში და სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებულ ტრენინგებში ჩართული კონფლიქტით შედეგად დაზარალებული ქალების და ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა **ბაზისი:** განისაზღვრება 2018 წელს **მიზანი:** განისაზღვრება 2018 წელს **წყარო:** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო; შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	5.1.5. კონფლიქტის შედეგად დაზარალებული დევნილი და დაბრუნებული მიგრანტი ქალების დაფინანსება შემოსავლის წყაროს და თვითდასაქმების მიზნით	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო		2018-2019-2020
		5.1.6. კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისა და გოგოების შეღავათიან აგრო და მცირე ბიზნეს გრანტებზე წვდომის ხელშეწყობა	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		2018-2019-2020
		5.1.7. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საინფორმაციო, სამართლებრივი და ტექნიკური კონსულტაციების გაწევა დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისთვის	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		2018-2019-2020
		5.1.8. სამეწარმეო, სასოფლო-სამეურნეო და ბიზნეს უნარ-ჩვევებში საჭიროებებზე მორგებული ტრენინგების ჩატარება დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისთვის და გოგოებისთვის	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგი-ლებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო მუნიციპალიტეტები საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	2018-2019-2020
		5.1.9. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის განათლების, სოციალურ-ეკონომიკური და სხვა სერვისებისადმი წვდომის ხელშეწყობა და გამარტივება	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2018-2019-2020

	5.1.დ: გარემოს დაცვის საკითხების განხილვის პროცესში ქალთა ჩართულობის პროცენტული მაჩვენებელი კაცებთან თანაფარდობით **ბაზისი:** განისაზღვრება 2018 წელს **მიზანი:** განისაზღვრება 2018 წელს **წყარო:** საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	5.1.10. გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრები კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების გადამზადების და უნარ-ჩვევების გაძლიერების მიზნით სასწავლო მოდულის შემუშავება და პროგრამების განხორციელება ეკონომიკის, ფინანსებისა და ბიზნესის საკითხების ირგვლივ	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	სსიპ - ფინანსთა სამინსიტროს აკადემია	2018 (კვარტალი: II, III) 2019- 2020
		5.1.11. გამყოფი ხაზის სიახლოვეს მცხოვრები სტუდენტების ჩართვის შესაძლებლობა არსებულ სასწავლო კურსებში კვოტირების მექანიზმის საშუალებით	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	სსიპ - ფინანსთა სამინსიტროს აკადემია	2018 (კვარტალი: III, IV) 2019- 2020
		5.1.12. გარემოს დაცვის საკითხების განხილვის პროცესში, დაინტერესების შემთხვევაში, დევნილი და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალების და ახალგაზრდების ჩართვა	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო	2018-2019-2020
		5.1.13. დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებული ქალებისთვის და გოგოებისთვის, მათი დაინტერესების შემთხვევაში, გარემოს დაცვის საკითხებზე სემინარების ჩატარება	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		2018-2019-2020

5.2. დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებისთვის და ახალგაზრდებისთვის კულტურული და სპორტული პროგრამები ხელმისაწვდომია და მათი ჩართულობა გაზრდილია	5.2.ა: დევნილ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებისა და ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა ვინც ისარგებლა კულტურული და სპორტული პროგრამებით **ბაზისი:** განისაზღვრება 2018 წელს **მიზანი:** განისაზღვრება 2018 წელს **წყარო:** კულტურისა და სპორტის სამინისტრო	5.2.1. სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლების მხარდაჭერა დევნილ პირთა დასახლებებში და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო		2018-2019-2020
		5.2.1. სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებლების მხარდაჭერა დევნილ პირთა დასახლებებში და გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო		2018-2019-2020
		5.2.3. კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით დევნილი და კონფლიქტით დაზარალებული ქალებისა და ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო		2018-2019-2020
		5.2.4. მიზნობრივი სპორტული ღონისძიებების განხორციელება ახალგაზრდებისთვის	საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო		2018-2019-2020

მიზანი 6: 1325 რეზოლუციის მიზნები და ამოცანები ინტეგრირებულია ეროვნულ პოლიტიკასა და უწყებრივ სტრატეგიებში					
ამოცანა	**ამოცანის ინდიკატორი**	**საქმიანობა**	**პასუხისმგებელი უწყება**	**პარტნიორი უწყება**	**შესრულების ვადა**
6.1. ჩამოყალიბებულია და ფუნქციონირებს ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების, მონიტორინგისა და ანგარიშგების მდგრადი მექანიზმი	6.1.ა: თბილისსა და რეგიონებში უწყებათაშორისი კომისიის რეგულარული შეხვედრების ოქმების არსებობა **ბაზისი:** არ არსებობს **მიზანი:** ოქმების არსებობა **წყარო:** გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია	6.1.1. იძულებით გადაადგილებულ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალებთან და გოგოებთან შეხვედრების ორგანიზება სამოქმედო გეგმის იმპლიმენტაციის პროცესის შესწავლისა და მონიტორინგისთვის	გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია		2018-2019-2020
		6.1.2. მუნიციპალიტეტებისა და ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების კოორდინირებული მუშაობის ხელშეწყობა	გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია		2018-2019-2020
	6.1.ბ: ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშის არსებობა და გასაჯაროება (ექვს თვეში ერთხელ) **ბაზისი:** არ არსებობს **მიზანი:** საჯარო მონიტორინგის ანგარიშის არსებობა **წყარო:** გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია	6.1.3. კომისიის ექსპერტებით, სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრების ორგანიზება სამთავრობო სამოქმედო გეგმის იმპლიმენტაციის პროგრესის განხილვისთვის	გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია		2018-2019-2020
		6.1.4. გენდერული ნიშნით სეგრეგირებული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის ხელშეწყობა	გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია		2018-2019-2020
		6.1.5. ანგარიშის წარდგენა ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებთან	გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია		2018-2019-2020

	6.1.გ: ეროვნული სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის არსებობა და გასაჯროება **ბაზისი:** არ არსებობს **მიზანი:** საჯარო წლიური ანგარიშის არსებობა **წყარო:** გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია	6.1.6. გეგმის იმპლიმენტაციის პროცესში იმ საკითხების იდენტიფიცირება რაც საჭიროების შემთხვევაში აისახება გეგმაში ცვლილებების სახით შუალედური ანგარიშგებისას და წარედგინება საქართველოს მთავრობას განსახილველად/ დასამტკიცებლად	გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია		2018-2019-2020
		6.1.7. „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელებასთან დაკავშირებული საქმიანობებისა და რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით ყოველწლიური ანგარიშის მომზადება, რომელიც განსახილველად წარედგინება ადამიანის უფლებების უწყებათაშორის საბჭოს და საქართველოს პარლამენტს	გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია		2018-2019-2020
		6.1.8. სამოქმედო გეგმის განხორციელების შუალედური ალტერნატიული მონიტორინგის ანგარიშის მომზადება	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი		2019